

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32, 6010

ტელეფონი/ფაქსი: +995(422) 27-17-80

ვებ-გვერდი: bsu.edu.ge

ელ-ფოსტა: info@bsu.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი:

გულადი ფარტენაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი:

მიხეილ დონაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“: ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology - 06112-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც“.

4. მიზანი: უზრუნველყოს ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

5. დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება;

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

*ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512*

7. სტრუქტურა და მოდულები:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით. 5 საერთო პროფესიულ მოდულს - 31 კრედიტის ოდენობით; 3 პროფესიულ მოდულს ჯამური 13 კრედიტის ოდენობით. ასევე არჩევით მოდულს - 3 კრედიტის ოდენობით.

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 63 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 78 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 10 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 13 სასწავლო თვე

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 63 კრედიტი.

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	მეწარმეობა 1	2
5.	სამოქალაქო განათლება	2
6.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
ჯამი:		16
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	4
ჯამი:		31
№	პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	1
2.	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	6
3.	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	6
ჯამი:		13
№	არჩევითი მოდულები	კრედიტი
1.	IT პროექტების მენეჯმენტი	3
ჯამი		3
სულ		63

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება: პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 3 კრედიტი.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. მოდული - ქართული ენა A2: ქართული ენა A2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

14. დანართები:

დანართი 1. სასწავლო გეგმა

დანართი 2. სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)

დანართი 3. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ

დანართი 4. 0020103 რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 5. 0030104 ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 6. 0110004 სამოქალაქო განათლება

დანართი 7. 0230101 უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 8. 0410003 მეწარმეობა 1

დანართი 9. 0610003 ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 10. 0611201 კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატული უზრუნველყოფა

დანართი 11. 0611202 კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

დანართი 12. 0611203 კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები

დანართი 13. 0611204 გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდამჭერი

დანართი 14. 0611205 პრაქტიკული პროექტი ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში

დანართი 15. 0611206 კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა

დანართი 16. 0611207 მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები

დანართი 17. 0611208 დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support

დანართი 18. 0611234 IT- პროექტების მენეჯმენტი

დანართი 19. 0110001 ქართული ენა A2

დანართი 20. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი